სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

სექტემბერი 2018

- 2017 წლის ოქტომბერი - 2018 წლის სექტემბრის პერიოდში, თბილისში, 3* და 4* სასტუმროების ყველაზე მაღალი ფასები დეკემბერში დაფიქსირდა, შესაბამისად 165 და 293 ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი - თებერვალში, შესაბამისად 124 და 214 ლარი.
- 2018 წლის სექტემბერში, აგვისტოს თვესთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.9%-ით შემცირდა;
- სექტემბერში 3* სასტუმროს საშუალო ფასმა 135 ლარი შეადგინა, 4* - 244 ლარი, 5* - 521 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 70 ლარი;

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის სექტემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **135 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის თბილისში - 153 ლარი და სამცხე-ჯავახეთში - 151 ლარი დაფიქსირდა. სექტემბერში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა გურია - 74 ლარი და ქვემო ქართლი - 85 ლარი.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა სექტემბერში **244 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები კახეთში - 336 ლარი და სამცხე-ჯავახეთში - 269 ლარი დაფიქსირდა. სექტემბრის თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 153 ლარი და გურია - 180 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში **521 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 619 ლარი შეადგინა, აჭარაში - 527 ლარი, კახეთში - 400 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 383 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა სექტემბერში **70 ლარი** შეადგინა. სექტემბერში, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 122 ლარი და ქვემო ქართლში - 104 ლარი დაფიქსირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებს შორის ყველაზე დაბალი საშუალო ფასები დაფიქსირდა შიდა ქართლში - 56 ლარი და იმერეთში - 58 ლარი.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის სექტემბერში, აგვისტოს თვესთან შედარებით, 5.9%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-22.5%) და აჭარაში (-21.5%) შემცირდა.

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის სექტემბერში, აგვისტოს თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ რაჭაში გაიზარდა. თბილისში კი სასტუმროს ფასების დონე სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, არ შეცვლილა.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, 6.4%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-38.7%) და აჭარაში (-20.4%) შემცირდა. სექტემბერში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა არც ერთ რეგიონში არ დაფიქსირებულა. თბილისში კი ფასები 0.2%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები სექტემბერში, აგვისტოს თვესთან შედარებით 5.7%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და გურიაში შემცირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, ფასები მხოლოდ რაჭაში და თბილისში გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
რაჭა	0.4%	-	0.4%
თბილისი	0.0%	-0.2%	0.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-0.7%	-3.0%	0.0%
სამცხე-ჯავახეთი	-1.3%	-1.2%	-1.3%
მცხეთა-მთიანეთი	-1.7%	-2.0%	-1.5%
იმერეთი	-1.9%	-2.1%	-1.8%
კახეთი	-2.2%	-2.3%	-2.2%
შიდა ქართლი	-3.6%	-	-3.6%
ქვემო ქართლი	-4.1%	-6.0%	-1.6%
აჭარა	-21.5%	-20.4%	-22.9%
გურია	-22.5%	-38.7%	-11.4%
სულ ფასების % ცვლილება	-5.9%	-6.4%	-5.7%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის სექტემბერში 2018 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით

სასტუმროს ფასები თბილისში



გრაფიკი 2: 3*, 4* და საოჯახო სასტუმროების ფასები თბილისში

2017 წლის ოქტომბერი - 2018 წლის სექტემბრის პერიოდში, თბილისის 3* სასტუმროების ფასმა მაქსიმუმს 2017 წლის დეკემბერში მიაღწია - 165 ლარი. 3* სასტუმროების ყველაზე დაბალი ფასი თბილისში 2018 წლის თებერვალში დაფიქსირდა - 124 ლარი.

აღნიშნულ პერიოდში, 3* სასტუმროების მსგავსად, თბილისში 4* სასტუმროების მაქსიმალური ფასი 2017 წლის დეკემბერში - 293 ლარი, ხოლო მინიმალური 2018 წლის თებერვალში დაფიქსირდა - 214 ლარი.

რაც შეეხება საოჯახო ტიპის სასტუმროებს, ყველაზე მაღალი ფასი 2018 წლის სექტემბერში - 79 ლარი, ხოლო დაბალი 2018 წლის მარტში დაფიქსირდა - 68 ლარი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	III 2016	IV 2016	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018
1	559,1	493.4	1978.3	458.7*	549*	647.7*	579.9*	2235.4*	534.8*	650.2*
2	2245.1	1473.8	6720	1378.1	1757	2927	1832.1	7902.5	1582.3	1979.6
3	1146.6	559.6	3297.3	665	908.9	1473.6	695.3	4069.4	839.5	1094.2
4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	550.8*	810*
5	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	126.4*
6	12.6	34.7	56.1	7.1	25.1	29.7	14.4	76.2	23.8*	7.6*

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3.სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).
4 * წინასწარი მონაცემები